# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

04.11.2013 წელი

2 ეგზ.

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის**

**განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო**

**აუდიტის ანგარიში N** 13/105

2013 წლის 1 იანვარი - 2013 წლის 30 ივნისი

## სარჩევი

## აუდიტის ანგარიში

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ ..... 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ..... 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ..... 4
პირობითი მოსაზრების საფუძვლები ..... 5
პირობითი მოსაზრება ..... 5
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა ..... 6
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები ..... 8
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა ..... 8
სამინისტროს ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულება ..... 9
სხვა განმარტებები ..... 11
მოთხოვნები წინასწარი გადახდებით ..... 11
მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები ..... 11
წმინდა ღირებულება ..... 12
ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები ..... 13

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობას**

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს აპარატის ბალანსს 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციები; ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციები, წმინდა ღირებულება, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

### ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებული იქნეს დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

პირობითი მოსაზრების საფუძვლები

1. სამინისტროს აპარატის ფინანსური აქტივების მონაცემი 21.8 ათასი ლარის ოდენობით, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს გასულ წლებში გაწეული ხარჯების დასაფინანსებლად გადახდილ და გამოუყენებელ საბიუჯეტო სახსრების მობრუნებას და შესაბამისად ექვემდებარებოდა ბალანსის დანართი ფორმა N3-ის ბიუჯეტის წინაშე დარიცხულ ვალდებულებებში (3246) აღრიცხვას, ნაცვლად ფინანსური აქტივების (1480) ანგარიშზე აღრიცხვისა[1].

2. სამინისტროს აპარატის ბალანსის დანართი ფორმა N2-ის ხარჯების დაზუსტებული გეგმის პარამეტრში გათვალისწინებული არ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული, 36.1 ათასი ლარის ოდენობის, დაფინანსება.

პირობითი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების" საკითხების შესაძლო გავლენისა, სამინისტროს ფინანსური ანგარიშგება 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" N364 ბრძანების შესაბამისად.

[1] საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ინსტრუქციის 33-ე მუხლის მე-5 პუნქტი

მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

1. სამინისტროს აპარატის ელექტრონული ტენდერის საშუალებით [2] გაფორმებულ, ქ. ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შენობის მშენებლობის სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაში[3], 2013 წლის 29 მარტის N4 შეთანხმებით განხორციელდა ცვლილებები, რომლის შედეგადაც შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვაში „სახურავის მოწყობა მეტალოკრამიტის ფურცლებით" შეიცვალა „სახურავის მოწყობით პროფილირებული ფურცლებით", ერთეულის და საერთო ფასის შეუცვლელად. დამატებით ჩვენს მიერ მოპოვებული მტკიცებულებების თანახმად, 100 კვ.მ სახურავის მოწყობას მეტალოკრამიტის ფურცლებით ესაჭიროება 128 კვ.მ ლითონკრამიტის ფურცელი, ხოლო იგივე ფართობის სახურავის მოწყობას პროფილირებული ფურცლებით ესაჭიროება 112 კვ.მ პროფილირებული ფენილი. სამშენებლო რესურსების ფასთა კრებულის[4] მონაცემების საფუძველზე შედგენილი კალკულაციის მიხედვით, სახურავის მოწყობა მეტალოკრამიტის ფურცლებით 17%-ით უფრო ძვირია, ვიდრე სახურავის მოწყობა პროფილირებული ფურცლებით. ზემოაღნიშნული მონაცემების თანახმად, ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილების შედეგად, გაუარესდა შემსყიდველის მდგომარეობა, რითაც დარღვეული იქნა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები.

2. სამინისტრო, კულტურისა და განათლების ხელშეწყობის ღონისძიებებს (კოდი 10643), აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულების[5] საფუძველზე, ახორციელებს გამარტივებული შესყიდვის საშუალებით. კანონით[6] გათვალისწინებული საგამონაკლისო წესი დადგენილია სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებათა შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების უზრუნველსაყოფად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ღონისძიებები ხორციელდება სხვადახვა პერიოდულობით, მთელი წლის განმავლობაში და ვადებში შეზღუდულობის საკითხი არ დგას, სამინისტროს მიერ, აღნიშნული საფუძვლით, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, შესყიდვის განხორციელების მოთხოვნა, გონივრულ საფუძველს მოკლებულია და ეწინააღმდეგება საკანონმდებლო ნორმის მიზნებს.

---

[2] SPA120010241

[3] ხელშეკრულება N170, 14/05/2012 წ.

[4] 2013 წლის პირველი კვარტლის დონეზე

[5] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება N27, 05/02/2013 წ.

[6] „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტი

3. სამინისტრომ, კულტურისა და განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 13.8 ათას ლარად, ფესტივალის „ოქროს დელფინის" მონაწილეთა კვებისა და საზეიმო ვახშამის უზრუნველყოფისათვის ხელშეკრულება [7] გაუფორმა ინდ. მეწარმე „ციური თედორაძეს". სამინისტროს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი სათანადო განმარტება, თუ რა კრიტერიუმების გათვალისწინებით იქნა შერჩეული ხელშემკვრელი მხარე. ხელშეკრულების გაფორმებიდან მეორე დღეს, 2013 წლის 8 მაისს, მოქალაქე ციური თედორაძის მიერ სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" შეტანილი იქნა განცხადება ინდ. მეწარმის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე, რაც განხორციელდა 2013 წლის 10 მაისს. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში აღნიშნული პროცედურის განხორციელება მაღალი რისკის შემცველია. გარდა ამისა, მომსახურების მიწოდებაზე მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა საბოლოო მიწოდების განხორციელებამდე, 2013 წლის 13 მაისს, ხოლო ბოლო მიწოდება, წარმოდგენილი დოკუმენტაციით, განხორციელდა 2014 წლის 14 მაისს. ამასთან, ანგარიშწორების განხორციელების დროს გადახდის წყაროსთან არ მომხდარა 2.8 ათასი ლარის ოდენობის საშემოსავლო გადასახადის გადახდა, რითაც დარღვეული იქნა საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ" ქვეპუნქტი.

4. სამინისტრომ, კულტურისა და განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 14.0 ათას ლარად, ფესტივალის „ოქროს დელფინის" მონაწილეთა დაბინავების უზრუნველსაყოფად ხელშეკრულება [8] გაუფორმა შპს „ბაკურის". ხელშეკრულების შესაბამისად, მიმწოდებელი უზრუნველყოფდა ფესტივალის 127 მონაწილის დაბინავებას 2013 წლის 9 მაისიდან 14 მაისამდე სასტუმრო „ბონში", თითოეულ მონაწილეს დღეში 22 ლარად. წარმოდგენილი მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციით, მიმწოდებელმა რიგ სასტუმრო ნომერში განათავსა 7 პირი (ორ შემთხვევაში), 6 პირი (ორ შემთხვევაში) და 5 პირი (ხუთ შემთხვევაში), მათ შორის ერთი და იგივე სასტუმრო ნომერში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელი. მაგ. 203-ე სასტუმრო ნომრის შემთხვევაში, არსებული მასალებით, განთავსებული იყო 7 პირი, ადგილზე დათვალიერებით კი ცნობილი ხდება, რომ აღნიშნულ სასტუმრო ნომერში 7 პირის, თუნდაც ბავშვის, განთავსება ფიზიკურად შეუძლებელია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, განთავსებულ პირთა რაოდენობა რისკის შემცველია.

---

[7] ხელშეკრულება N130, 07/05/2013 წ.
[8] ხელშეკრულება N133, 07/05/2013 წ.

5. სამინისტრომ, კულტურისა და განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების ფარგლებში, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, 15.0 ათას ლარად, ფესტივალის „მემკვიდრეობა" ორგანიზებისთვის ხელშეკრულება[9] გაუფორმა შპს „არტ-სტუდია მუზას". ხელშეკრულებით არ იდენტიფიცირდება მიმწოდებლის მიერ გასაწევი მომსახურების ზუსტი შინაარსი. კერძოდ, ხელშეკრულებიდან არ ჩანს, თუ რას მოიცავს ფესტივალი „მემკვიდრეობა", რა ფარგლებში ევალება მისი ორგანიზება მიმწოდებელს ან/და ვინ არის ტრანსპორტის, სასტუმროს თუ სხვა სახის მომსახურების ბენეფიციარი. მიღება - ჩაბარების აქტზე თანდართული, მიმწოდებლის წარმოდგენილი მონაცემები ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ რიგ შემთხვევებში არ არის დაკავშირებული ხელშეკრულების პირობებთან ან დროში უსწრებს ხელშეკრულების გაფორმებას. ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, არ გვეძლევა საშუალება გამოვთქვათ მოსაზრება ფაქტიურად გაწეული ხარჯების ეფექტურობასა და მიზნობრიობაზე.

6. სამინისტროს თანამშრომელთა მივლინებისათვის დამტკიცებულ ლიმიტს ზემოთ გაცემულია 7.9 ათასი ლარის ღირებულების 3960 ლიტრი საწვავი, საიდანაც 6.4 ათასი ლარის ღირებულების 3140 ლიტრი საწვავის გამოყოფასა და ხარჯვაზე სათანადო დოკუმენტაცია აუდიტის მიმდინარეობის დროს ვერ იქნა წარმოდგენილი, რაც შიდა კონტროლის სისტემის არსებით სისუსტეზე მიუთითებს.

სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით[10] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სრული დაფინანსება განისაზღვრა 32 353.9 ათასი ლარით. სამინისტროს დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 32 229.0 ათასი ლარი.

---

[9] ხელშეკრულება N93, 20/03/2013 წ.

[10] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2013 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" (ვებგვერდი, 31/12/2012. სარეგისტრაციო კოდი 190040000.30.056.016026)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი შეადგენს 14 938.1 ათას ლარს, საკასო შესრულებამ შეადგინა 12 053.2 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 80.7 პროცენტია. მათ შორის 6 თვის ხარჯების დაზუსტებული გეგმა შეადგენს 13 089.7 ათას ლარს, საკასო ხარჯი - 11 472.5 ათას ლარს (გეგმა შესრულდა 87.6 პროცენტით), არაფინანსური აქტივების ზრდის გეგმა - 1 846.1 ათას ლარს, საკასო შესრულება - 578.5 ათასი ლარს (გეგმა შესრულდა 31.3%-ით). ვალდებულებების კლების გეგმა (2.3 ათასი ლარი) შესრულდა 100%-ით. ხარჯების შეუსრულებლობა ძირითადად განპირობებულია სუბსიდიების მუხლით გასაწევი ხარჯებისა (დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულდა 89.4%-ით) და სხვა ხარჯების მუხლით გასაწევი ხარჯების (დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულდა 73.8%-ით) აუთვისებლობით. ბიუჯეტის ასიგნებების მუხლობრივი გადანაწილება მოცემულია ცხრილის სახით:

| დასახელება | 2013 წლის დაზუსტებული გეგმა | 6 თვის დაზუსტებული გეგმა | 6 თვის საკასო შესრულება | დაზუსტებული გეგმის შესრულების % |
|---|---|---|---|---|
| **განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** | **32 228 994** | **14 938 070** | **12 053 207** | **80.7** |
| ხარჯები | 28 102 668 | 13 089 684 | 11 472 457 | 87.6 |
| შრომის ანაზღაურება | 2 140 960 | 1 063 064 | 1 047 361 | 98.5 |
| საქონელი და მომსახურება | 2 693 843 | 1 134 574 | 924 410 | 81.5 |
| სუბსიდიები | 17 088 466 | 9 362 117 | 8 369 724 | 89.4 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 14 129 | 14 129 | 12 630 | 89.4 |
| სხვა ხარჯები | 6 165 270 | 1 515 800 | 1 118 332 | 73.8 |
| არაფინანსური აქტივები | 4 124 075 | 1 846 135 | 578 499 | 31.3 |
| ვალდებულებები | 2 251 | 2 251 | 2 251 | 100.0 |

სამინისტროს ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ადმინისტრაციის დამტკიცებული ბიუჯეტი მიზნობრივი პროგრამების და ღონისძიებების ჩათვლით შეადგენდა 7 457.2 ათას ლარს, დაზუსტებულმა ბიუჯეტმა შეადგინა 7346.1 ათასი ლარი. რესპუბლიკურ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილების შედეგად ამოღებული იქნა სამინისტროს 10636 კოდით გათვალისწინებული დაფინანსება (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფა).

სამინისტროს ადმინისტრაციის 6 თვის დაზუსტებული ბიუჯეტი, მიზნობრივი პროგრამების და ღონისძიებების ჩათვლით, შეადგენს 2 171.7 ათას ლარს. საკასო შესრულებამ შეადგინა 1 935.4 ათასი ლარი, რაც დაზუსტებული ბიუჯეტის 89.1 %-ია. სამინისტროს ადმინისტრაციის ბიუჯეტის შესრულების მონაცემები მოცემულია დიაგრამის სახით (ათას ლარებში):




2012 წლის 6 თვის მონაცემებთან მიმართებაში ხარჯების საკასო შესრულება გაზრდილია 564.2 ათასი ლარით. მათ შორის, „შრომის ანაზღაურება“ გაზრდილია 103.7 ათასი ლარით, „საქონელი და მომსახურება“ შემცირებულია 129.8 ათასი ლარით, „სოციალური უზრუნველყოფა“ შემცირებულია 5.7 ათასი ლარით, ხოლო „სხვა ხარჯები“ გაზრდილია 596.0 ათასი ლარით.

2012 წლის 6 თვის მონაცემებთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ცვლილება ზრდის კუთხით შეეხო შრომის ანაზღაურების მუხლით გაწეულ პრემიის ხარჯებს, ხოლო კლების კუთხით - საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეულ მივლინების, წარმომადგენლობით და ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯებს. იხ. დიაგრამა ათას ლარებში:




სხვა განმარტებები

მოთხოვნები წინასწარი გადახდებით

მოთხოვნები წინასწარი გადახდებით ანგარიშზე (1430) 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა ნაშთი 303.2 ათასი ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენდა ქობულეთის N1 საჯარო სკოლის შენობის მშენებლობის სამუშაოების შესყიდვაზე შპს „ნიუ კონსტრაქშენისთვის" გადარიცხულ ავანსს.

2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით აღნიშნულ საბალანსო ანგარიშზე ნაშთად ირიცხება 602.3 ათასი ლარი, საიდანაც 545.6 ათასი ლარი შპს „ნიუ კონსტრაქშენისთვის" გადარიცხული ავანსის ნაშთია, 35.0 ათასი ლარი - შპს „ისთერნ პრომოუშენსისთვის" შავი ზღვის ჯაზფესტივალის ორგანიზებისათვის განხორციელებული საავანსო ანგარიშსწორების ნაშთია, ხოლო 21.7 ათასი ლარი - ა(ა)იპ „Micro ფონისთვის" სახელოვნებო პროექტის „ბათუმის ეზოს ისტორიების" ორგანიზებისათვის განხორციელებული საავანსო ანგარიშსწორების ნაშთი.

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები

მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებების ჯამური თანხა 2013 წლის 30 ივნისის მდგომარეობით შეადგენს 6.6 ათას ლარს, რომელიც კულტურულ ღონისძიებათა გეგმის ფარგლებში შპს „ბათუმი ავია ტურის" მიერ

მიწოდებული ავიაბილეთების ღირებულების და ფიზიკური პირი ანა რიაბოშენკოს მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების მიმდინარე ნაშთების ჯამია, რომელიც სამინისტროს მიერ ანაზღაურებულია ივლისის თვეში.

წმინდა ღირებულება

საწყისი ნაშთი 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 1 116.7 ათას ლარს. საანგარიშო პერიოდში აღნიშნულ ანგარიშზე საკრედიტო ბრუნვა შეადგენს 1 935.4 ათას ლარს, რაც მთლიანად ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებით არის განპირობებული, ხოლო სადებეტო ბრუნვა შეადგენს 1 660.2 ათას ლარს, საიდანაც შრომის ანაზღაურების ფაქტიური ხარჯი შეადგენს 573.0 ათას ლარს, საქონელი და მომსახურების მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი - 342.3 ათას ლარს, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი - 12.6 ათას ლარს, სხვა ხარჯების მუხლით გაწეული ფაქტიური ხარჯი - 710.5 ათასს ლარს, ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები - 21.8 ლარს, რომელიც ბალანსში აღრიცხულია ფინანსური აქტივების უსასყიდლოდ გასვლად[11].

ჰენრი სანიკიძე

აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

04 ნოემბერი 2013 წელი

[11] საკითხი განხილულია პირობითი მოსაზრების საფუძვლების პირველ პუნქტში

# სარეკომენდაციო წერილი

**აუდიტის ობიექტი:**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო

**აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი:**
ბატონი გიორგი თავამაიშვილი

1.

*გამოვლენილი გარემოება*

✓ სამინისტროს აპარატის ფინანსური აქტივების მონაცემი 21.8 ათასი ლარის ოდენობით, თავისი შინაარსიდან გამომდინარე, წარმოადგენს გასულ წლებში გაწეული ხარჯების დასაფინასებლად გადახდილ და გამოუყენებელ საბიუჯეტო სახსრების მობრუნებას და შესაბამისად ექვემდებარებოდა ბალანსის დანართი ფორმა N3-ის ბიუჯეტის წინაშე დარიცხულ ვალდებულებებში (3246) აღრიცხვას, ნაცვლად ფინანსური აქტივების (1480) ანგარიშზე აღრიცხვისა.

*რეკომენდაცია*

✓ სამინისტრომ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში უზრუნველყოს სათანადო ცვლილებების განხორციელება. ამასთან, იგი ვალდებულია განახორციელოს ფინანსური ოპერაციების ასახვა მარეგულირებელი ნორმებით დადგენილი პროცედურების დაცვით, შესაბამის ვადებში და დადგენილი კლასიფიკაციით.

*აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი*

2.

*გამოვლენილი გარემოება*

✓ სამინისტროს აპარატის ბალანსის დანართი ფორმა N2-ის ხარჯების დაზუსტებული გეგმის პარამეტრში გათვალისწინებული არ არის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული, 36.1 ათასი ლარის ოდენობის, დაფინანსება.

*რეკომენდაცია*

✓ სამინისტრომ 2013 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო წესით ასახოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მიღებული დაფინანსება.

*<u>აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი</u>*

ჰენრი სანიკიძე

აუდიტის დეპარტამენტის აუდიტორი
აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

04 ნოემბერი 2013 წ.

64

## ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები

| აქტივები და მოთხოვნები | 2012 | 2013 წლის 6 თვე |
|---|---|---|
| I. ფინანსური აქტივები და მოთხოვნები | | |
| მოთხოვნები წინასწარი გადახდებით | 303172 | 602308 |
| სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები | 23100 | 1263 |
| II. არაფინანსური აქტივები | | |
| სხვა მატერიალური მარაგები | 27465 | 17591 |
| შენობა-ნაგებობები | 350351 | 357119 |
| მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 283975 | 289605 |
| გრძელვადიანი მცირეფსიანი აქტივები | 32568 | 34475 |
| არაწარმოებული აქტივები | 96262 | 96262 |
| ბალანსი | **1116893** | **1398623** |

| ვალდებულებები და კაპიტალი | 2012 | 2013 წლის 6 თვე |
|---|---|---|
| I. ვალდებულებები | | |
| მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 0 | 6620 |
| აქტივების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები | 159 | 159 |
| II. კაპიტალი | | |
| წმინდა ღირებულება | 1116734 | 1391844 |
| ბალანსი | **1116893** | **1398623** |
| III.საცნობარო მუხლები | | |
| ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში | 502 | 1487 |
| ამორტიზირებული ძირითადი აქტივები | 35211 | 35211 |
| ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები | 32250 | 32250 |

# ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

| ხარჯების ჩამონათვალი | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) | ფაქტობრივი ხარჯი | გადახრა ფაქტობრივ ხარჯსა და გადახდას შორის |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| **1. ხარჯები** | **2086597** | **2092597** | **1930036** | **1922960** | **1922960** | **1638411** | **-284549** |
| **1.1 შრომის ანაზღაურება** | 584400 | 584400 | 573012 | 573012 | 573012 | 573012 | 0 |
| 1.1.1 ხელფასები | 0 | 0 | 573012 | 573012 | 573012 | 573012 | 0 |
| 1.1.1.1 ხელფასები ფულადი ფორმით | 0 | 0 | 573012 | 573012 | 573012 | 573012 | 0 |
| 1.1.1.1.1 თანამდებობრივი სარგო | 0 | 0 | 344816 | 344816 | 344816 | 344816 | 0 |
| 1.1.1.1.3 პრემია | 0 | 0 | 228197 | 228197 | 228197 | 228197 | 0 |
| **1.2 საქონელი და მომსახურება** | 513817 | 507242 | 391561 | 384499 | 384499 | 342331 | -42168 |
| 1.2.1.1 შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება | 8020 | 8020 | 6720 | 6720 | 6720 | 6720 | 0 |
| 1.2.1.2 მივლინება | 20000 | 20000 | 12604 | 12276 | 12276 | 12276 | 0 |
| 1.2.1.3 ოფისის ხარჯები | 61132 | 61132 | 43101 | 43101 | 43101 | 37928 | -5172 |
| 1.2.1.4 წარმომადგენლობითი ხარჯები | 17000 | 17000 | 3657 | 3657 | 3657 | 3657 | 0 |
| 1.2.1.8 ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის ხარჯები | 42500 | 42500 | 11797 | 11797 | 11797 | 24635 | 12838 |

# ორგანიზაციის ანგარიში ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1.2.1.10 სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება | 365165 | 358590 | 313682 | 306948 | 306948 | 257114 | -49833 |
| **1.7 სოციალური უზრუნველყოფა** | 0 | 12575 | 12575 | 12575 | 12575 | 12575 | 0 |
| 1.7.2 სოციალური დახმარება | 0 | 0 | 6000 | 6000 | 6000 | 6000 | 0 |
| 1.7.2.1 ფულადი ფორმით | 0 | 0 | 6000 | 6000 | 6000 | 6000 | 0 |
| 1.7.3 დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარება | 0 | 0 | 6575 | 6575 | 6575 | 6575 | 0 |
| 1.7.3.1 ფულადი ფორმით | 0 | 0 | 6575 | 6575 | 6575 | 6575 | 0 |
| **1.8 სხვა ხარჯები** | 988380 | 988380 | 952888 | 952874 | 952874 | 710493 | -242381 |
| 1.8.2 სხვადასხვა ხარჯები | 0 | 0 | 952888 | 952874 | 952874 | 710493 | -242381 |
| 1.8.2.1 სხვადასხვა მიმდინარე ხარჯები | 0 | 0 | 331981 | 331967 | 331967 | 331967 | 0 |
| 1.8.2.2 სხვადასხვა კაპიტალური ხარჯები | 0 | 0 | 620907 | 620907 | 620907 | 378526 | -242381 |

67

# ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ

| არაფინანსური აქტივების ჩამონათვალი | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | ვალდებულება | მოთხოვნა | გადახდა (საკასო ხარჯი) |
|---|---|---|---|---|---|
| 1. არაფინანსური აქტივების ზრდა | 43000 | 43000 | 12398 | 12398 | 12398 |
| **1.1 ძირითადი აქტივები** | 0 | 0 | 12398 | 12398 | 12398 |
| 1.1.1 შენობა-ნაგებობები | 0 | 0 | 6768 | 6768 | 6768 |
| 1.1.1.2 არასაცხოვრებელი შენობები | 0 | 0 | 6768 | 6768 | 6768 |
| 1.1.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 0 | 0 | 5630 | 5630 | 5630 |
| 1.1.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 0 | 0 | 5630 | 5630 | 5630 |

# ორგანიზაციის ანგარიში წმინდა ღირებულების შესახებ

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | **ნაშთი წლის დასაწყისისათვის** | **0** | | **ნაშთი წლის დასაწყისისათვის** | **1116734** |
| **7100** | მომუშავეთა ანაზღაურება | 573012 | 4100 | ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება | 1935359 |
| **7200** | საქონელი და მომსახურება | 342331 | 4200 | ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება პენსიების და დახმარების გასაცემად | 0 |
| **7300** | ძირითადი კაპიტალის მოხმარება | 0 | 6000 | შემოსავლები | 0 |
| **7310** | მ.შ. ფიზიკური ცვეთა | 0 | 6300 | მ. შ. გრანტები | 0 |
| **7700** | სოციალური უზრუნველყოფა | 12575 | | | |
| **7800** | სხვა ხარჯები | 710493 | | | |
| | | | | | |
| | აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ გასვლა | | | აქტივების, ვალდებულებების უსასყიდლოდ მიღება | |
| **1300 - 1400** | ფინანსური აქტივები | **21838** | 1300 - 1400 | ფინანსური აქტივები | 0 |
| **3246** | **ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები** | **0** | | | |
| **სადებეტო ბრუნვა** | | 1660249 | **საკრედიტო ბრუნვა** | | **1935359** |
| **სულ ჯამი** | | **1660249** | **სულ ჯამი** | | 3052093 |
| **ნაშთი პერიოდის ბოლოს** | | | **ნაშთი პერიოდის ბოლოს** | | **1391844** |

# ორგანიზაციის ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ

| არაფინანსური აქტივების დასახელება | წაშთი წლის დასაწყისში | მიღება შესყიდვით | გასვლა საქონელი და მომსახურებით | წაშთი კვარტლის ბოლოს |
|---|---|---|---|---|
| 1. მატერიალური მარაგები | 27465 | 56669 | 66542 | 17591 |
| 1.2 სხვა მატერიალური მარაგები | 27465 | 56669 | 66542 | 17591 |
| 1.2.5 ფულადი დოკუმენტები | 12838 | 3242 | 16080 | 0 |
| 1.2.6 სათადარიგო ნაწილები | | 2540 | 2540 | 0 |
| 1.2.7 სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები | 14628 | 50886 | 47922 | 17591 |
| **2. ძირითადი აქტივები** | 634326 | 12398 | | 646724 |
| 2.1 შენობა-ნაგებობები | 350351 | 6768 | | 357119 |
| 2.1.2 არასაცხოვრებელი შენობები | 340867 | 6768 | | 347635 |
| 2.1.9 სხვა ნაგებობები | 9484 | | | 9484 |
| 2.2 მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 283975 | 5630 | | 289605 |
| 2.2.1 სატრანსპორტო საშუალებები | 190254 | | | 190254 |
| 2.2.2 სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი | 93721 | 5630 | | 99351 |
| **3. გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები** | 32568 | 1907 | | 34475 |
| **5. არაწარმოებული აქტივები** | 96262 | | | 96262 |
| 5.1 მიწა | 96262 | | | 96262 |